

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
2017 წლის ბიუჯეტის შესრულების  
ანგარიშის შესახებ





სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებები ს ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ბალანსი	2 087,194	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

### ბიუჯეტის შემოსავლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 17 215,0 ათ. ლარი, ფაქტიურად 18 564,2 ათ. ლარით შესრულდა, რაც გეგმის 107,84%.

**I. გადასახადების სახით** ბიუჯეტში მთლიანობაში მოხილზებულია 4 979,9 ათ. ლარი, დაზუსტებული წლიური გეგმის 3 167,3 ათ. ლარის 157,23 %.

**საშემოსავლო გადასახადი** - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 592,0 ათ. ლარი, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 700,0 ათ. ლარის 84,57%,

**ქონების გადასახადი** - საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 4387,9 ათ. ლარის შემოსავალი, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 2 467,3 ათ. ლარის 177,84 % , მათ შორის:

- **საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის** გეგმა 200,56 %-ით შესრულდა

(დაზუსტებული წლიური გეგმა 1 467,3 ათ.ლარი, შესრულება 2 942,9 ათ.ლარი);

- **ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის** გეგმა შესრულდა 60,41 %-ით შესრულდა (დაზუსტებული წლიური გეგმა 120,0 ათ. ლარი, შესრულება 72,5 ათ. ლარი);

- **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის** გეგმა შესრულდა 52,25%-ით (დაზუსტებული წლიური გეგმა 400,0 ათ.ლარი, შესრულება 209,0 ათ.ლარი);

- **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის** გეგმა შესრულდა

242,41 %-ით (დაზუსტებული წლიური გეგმა 480,0 ათ. ლარი, შესრულება 1163,6 ათ.ლარი);

### II. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მოხილზებული იქნა 11 158,7 ათ. ლარი, მათ შორის:

ა) **გათანაბრებითი ტრანსფერი** - 5 025,6 ათ. ლარი;

ბ) **მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად** - 169,7 ათ.ლარი;

გ) **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები** - 5 908,9 ათ. ლარი;

დ) **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები**- 54,5 ათ. ლარი

### III. სხვა შემოსავლები

2017 წლის დამტკიცებული წლიური გეგმით განსაზღვრული 1 677,8 ათ.ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 1 715,1 ათ. ლარი შეადგინა, რამაც გეგმის 102,22 %-ია, მათ შორის:

**პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 27,5 ათ.ლარი;

**რენტის** სახით ბიუჯეტში ფაქტიურად 558,6 ათ. ლარი შემოვიდა, რაც გეგმის 536,6 ათ.ლარის 104,1%-ია.

**ადმინისტრაციული მოსაკრებლიდან და გადასახადებიდან** მიღებულია 137,5 ათ. ლარი, რომელმაც გეგმის 170,0 ათ. ლარის 80,88 % შეადგინა, აქედან:

– სანებართვო მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 107,7 ათ.ლარი, რაც გეგმის 120,0 ათ.ლარის 89,75 %-ია;

– დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 29,8 ათ.ლარი, რაც გეგმის 50,0 ათ.ლარის 59,6 %-ია;

**არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 28,9 ათ ლარი, რაც გეგმის 20,0 ათ. ლარი 144,5 % შეადგენს.

**შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან** მიღებულმა შემოსავალმა მთლიანობაში 767,1 ათ. ლარი შეადგინა რაც გეგმის 850,0 ათ. ლარი 90,25 % შეადგენს.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 195,6 ათ.ლარი, რაც გეგმის 101,2 ათ. ლარის 193,28%-ია;

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** მიმდინარე პერიოდში ბიუჯეტში ჩარიცხულია 710,4 ათ. ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (850,0 ათ. ლარი) 83,57 %-ია, მათ შორის: 28,1 ათ. ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან (შემოსულობა შენობებისა და ნაგებობების გაყიდვებიდან), ხოლო 682,3 ათ. ლარი არაწარმოებული აქტივების გაყიდვებიდან (მიწის გაყიდვიდან).

#### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 21 120,7 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 19 415,1 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,92 %-ია.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა** განისაზღვრა 12 450,7 ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11 469,2 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92,11%-ია.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა** განისაზღვრა 8 670,0 ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 945,9 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,64 %-ია.

#### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

**„შრომის ანაზღაურების“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 2 128,4 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 2 110,4 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,15 %-ს შეადგენს.

**„საქონელი და მომსახურების“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 1 967,0 ათ. ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1 532,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 77,88 %-ს შეადგენს.

**„სუბსიდიების“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 5 354,3 ათ. ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4 891,3 ათ. ლარი, რაც გეგმის 91,35 %-ს.

სუბსიდიების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება;
- კომუნალური მომსახურების დაფინანსება;
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- კულტურის ობიექტების დაფინანსება;

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;
- ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;
- გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა;
- სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება;
- მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსება;

„სოციალური უზრუნველყოფის“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 564,7 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 525,5 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93,05%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა;
- დედ-მამით ობოლი 18-წლამდე ბავშვების დახმარების პროგრამა;
- მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა;
- მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა;
- „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა;
- თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარების პროგრამა;
- უსინათლოთა დახმარების პროგრამა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- სარიტუალო დახმარების პროგრამა;
- სოციალური ღონისძიებების პროგრამა;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი;







„სხვა ხარჯების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 2 436,4 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 2 410,0 ათ. ლარის მოცულობით, რაც გეგმის 98,91%-ს.


სხვა ხარჯების მუხლიდან ფინანსდება ისეთი სამუშაოები, რომელთა შედეგად შექნილი აქტივები არ აისახება მუნიციპალიტეტის ბალანსზე, კერძოდ: საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სამშენებლო მასალების შესყიდვა მოსახლეობისთვის გადაცემის მიზნით, კანალიზაციის და წყალმომარაგების ქსელების შეკეთება.

სხვა ხარჯების მუხლიდან ასევე, დაფინანსებული იქნა:

- ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირის უზრუნველყოფა.

**2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით**  
**2017 წლის ბიუჯეტი ფუნქციონალურ ჭრილში პრიორიტეტების მიხედვით**

	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს დაფინანსება	<b>15,38%</b>
	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	<b>0,47%</b>
	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	<b>64,31%</b>
	განათლება	<b>10,73%</b>
	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	<b>4,54%</b>
	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	<b>4,55%</b>



- 01 00 - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (გეგმა - 3090,1 ათ. ლარი, შესრულება - 2986,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 96,64 %-ია);
- 02 00 - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (გეგმა - 97,0 ათ. ლარი, შესრულება - 92,3 ათ. ლარი, რაც გეგმის 95,15%-ია);
- 03 00 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (გეგმა - 13 949,4 ათ. ლარი, შესრულება - 12,486,9 ათ. ლარი, რაც გეგმის 89,51%-ია);
- 04 00 - განათლება (გეგმა - 2085,0 ათ. ლარი, შესრულება - 2084,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 99,96 %-ია);
- 05 00 - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (გეგმა - 968,4 ათ. ლარი, შესრულება - 881,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 90,99 %-ია);
- 06 00 - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (გეგმა - 930,9 ათ. ლარი, შესრულება - 884,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 96%-ია).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვრა, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 090,1	0,0	3 090,1	2 986,5	0,0	2 986,5
7011	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3 055,1	0,0	3 055,1	2 959,6	0,0	2 959,6
70111	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 915,1	0,0	2 915,1	2 829,1	0,0	2 829,1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	140,0	0,0	140,0	130,5	0,0	130,5
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	35,0	0,0	35,0	26,9	0,0	26,9
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	97,0	0,0	97,0	92,3	0,0	92,3
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	97,0	0,0	97,0	92,3	0,0	92,3
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 396,9	3 180,7	1 216,2	4 167,7	2 993,2	1 174,5
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	1 331,2	950,0	381,2	1 243,2	892,6	350,6



70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 331,2	950,0	381,2	1 243,2	892,6	350,6
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	3 065,7	2 230,7	835,0	2 924,5	2 100,6	823,9
705	გარემოს დაცვა	108,5	38,0	70,5	100,4	32,9	67,5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	70,5	0,0	70,5	67,5	0,0	67,5
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	38,0	38,0	0,0	32,9	32,9	0,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	9 444,0	3 595,4	5 848,6	8 218,8	3 400,7	4 818,1
7061	ბინათმშენებლობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 013,2	0,0	2 013,2	1 568,9	0,0	1 568,9
7063	წყალმომარაგება	7 037,6	3 595,4	3 442,2	6 471,7	3 400,7	3 071,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	393,2	0,0	393,2	178,2	0,0	178,2
707	ჯანმრთელობის დაცვა	74,3	0,0	74,3	74,3	0,0	74,3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	74,3	0,0	74,3	74,3	0,0	74,3
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	968,4	0,0	968,4	881,2	0,0	881,2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	10,4	0,0	10,4	12,2	0,0	12,2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	898,0	0,0	898,0	812,7	0,0	812,7
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	60,0	0,0	60,0	56,3	0,0	56,3
709	განათლება	2 085,0	0,0	2 085,0	2 084,2	0,0	2 084,2
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 980,0	0,0	1 980,0	1 980,0	0,0	1 980,0
7092	ზოგადი განათლება	105,0	0,0	105,0	104,2	0,0	104,2
70923	საშუალო ზოგადი განათლება	105,0	0,0	105,0	104,2	0,0	104,2
710	სოციალური დაცვა	856,7	0,0	856,7	809,7	0,0	809,7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	61,5	0,0	61,5	58,5	0,0	58,5
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	743,2	0,0	743,2	708,7	0,0	708,7
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	52,0	0,0	52,0	42,5	0,0	42,5
	სულ	21 120,7	6 814,1	14 306,5	19 415,1	6 426,8	12 988,3

2017 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტების მიხედვით გაწეული ხარჯების ანალიზი, მიღებული შედეგები და შეფასების ინდიკატორები

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება  
(ორგანიზაციული კოდი - 01 00)

**01 01 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წელს დამტკიცებული ბიუჯეტით გამოეყო 725,3 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 718,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 99,09 %-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გეგმა შეადგენს 469,1 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 468,9 ათ. ლარს, რაც გეგმის 99,95%-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - საკასო ხარჯი 448,0ათ. ლარი; პრემია - საკასო ხარჯი 20,9 ათ. ლარი;

საქონელი და მომსახურების ხარჯების გეგმა განისაზღვრა - 249,9 ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 244,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 97,63 %, მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების დამტკიცებული გეგმა - 15,6 ათ. ლარი, რაც შესრულდა - 12,4 ათ. ლარის ოდენობით.

ოფისის ხარჯის დაზუსტებული გეგმა - 23,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 10,4 ათ. ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განისაზღვრა 5,0 ათ.ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 4,5 ათ.ლარი;

**01 02 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წელს ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2 189,8 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 2 110,4 ათ. ლარი, რაც გეგმის 96,37 %-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გეგმა შეადგენს 1 592,9 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 1 572,5 ათ. ლარს, რაც გეგმის 98,71 %-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - საკასო ხარჯი 1 484,2 ათ. ლარი; პრემია - საკასო ხარჯი 88,3 ათ. ლარი;

საქონელი და მომსახურები ხარჯების გეგმა განისაზღვრა -

445,0 ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 429,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 96,4 %-ია, მათ

შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების დაზუსტებული გეგმა - 50,0 ათ. ლარი, რაც შესრულდა - 45,8 ათ. ლარის ოდენობით.

მივლინების ხარჯის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 8,0 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 9,3 ათ. ლარის

ოდენობით.

ოფისის ხარჯის დაზუსტებული გეგმა - 130,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 104,3 ათ. ლარი. დაფინანსებულია: საკანცელარიო საქონლის შეძენის, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ოფისისათვის საჭირო მასალების შეძენის, სანიტარული საგნების შეძენის, კავშირგაბმულობის და კომუნალური ხარჯები, კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯების 144,4 ათ. ლარი, დაფინანსებულია: საწვავის-საპოხი მასალების შეძენის, ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების შეძენის, მიმდინარე რემონტის ხარჯები.

წარმომადგენლობითი ხარჯების გეგმა განისაზღვრა 20,0 ათ, ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 19,2 ათ,ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 103,2 ათ. ლარის ოდენობით, რაც შესრულდა - 102,0 ათ. ლარის ოდენობით. დაფინანსებულია: კადრების მომზადება-გადამზადებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯი, რეკლამის, აუდიტორული მომსახურების, შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი.

არაფინანსური აქტივების ზრდა დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 130,0 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 85,5 ათ. ოდენობით, რაც გეგმის 65,77%-ია. შექმნილ იქნა საოფისე ტექნიკა, ვიდეო-აუდიო აპარატურა.

## სარეზერვო ფონდი

2017 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 140,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 130,5 ათ. ლარი, მათ შორის:

- მედიკამენტების შესაძენად დახმარება გაეწია 173 ადამიანს, თანხით - 39,1 ათ. ლარი;
- სამედიცინო დაწესებულებებში გაწეული მომსახურების საფასური 265 ადამიანს - 85,5 ათ. ლარი;
- სარიტუალო ხარჯებისთვის დაფინანსდა 2 ადამიანი - 0,45 ათ. ლარი;
- სწავლის საფასურის თანადაფინანსება 5 ადამიანს - 4,15 ათ. ლარი;
- საპატიო მოქალაქეების დაჯილდოვება 3 ადამიანი - 1,1 ათ. ლარი;
- სახვითი ხელოვნების ცენტრში კონკურსში გამარჯვებული ბავშვების დაჯილდოვება 4 ბავშვი 0,2 ათ. ლარი.

## წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი

აღნიშნული მიმართულებით 2017 წელს გამოყოფილი იქნა 35,0 ათ. ლარი, ხოლო ხარჯებმა შეადგინა 26,9 ათ. გადახდილია მუნიციპალური განვითარების ფონდის მრავალწლიანი სესხის ნაწილი.

### თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (ორგანიზაციული კოდი - 02 00)

#### 02 02 - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

2017 წლის გეგმა - 97,0 ლარი, საკასო ხარჯი - 92,3 ლარით, რაც გეგმის 95,15 %-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით დაზუსტებული გეგმა შეადგენს 69,0 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 69,0 ათ. ლარს,

საქონელი და მომსახურების ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 26,1ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 21,6 ათ. ლარი.

**მიღწეული საბოლოო შედეგი: 2017 წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან ქალაქ თბილისში 16 ეტაპად გადაყვანილ იქნა 232 წვევამდელი გამწვევ - გამანაწილებელ პუნქტში, აქედან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 92 წვევამდელი ჩაირიცხა.**

### ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (ორგანიზაციული კოდი - 03 00)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გასაწევი ხარჯი დაიგეგმა 13949,4 ათ. ლარის ოდენობით.

საკასო ხარჯმა შეადგინა - 12486,9 ათ. ლარი, რაც გეგმის 89,51%-ია, მათ შორის:

**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის** საკუთარი ბიუჯეტით 2017 წელს დაგეგმილი იყო 313 900 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება, მ.შ. 67300 ლარით განხორციელდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით შესასრულებელი პროექტების თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დაგეგმილი იყო - 950000 ლარის ღირებულების სამუშაოების განხორციელება.

1. **მიღწეული შედეგი:** საანგარიშო პერიოდში - ასფალტის საფარი მოეწყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების წითელმთა-მაკვანეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 2327 გრძ.მეტრზე.

ხრეშოვანი გზების რეაბილიტაციისათვის გამოყენებული იქნა 4412მ<sup>3</sup> მოცულობის 0.40მმ ღორღი და 1400 მ<sup>3</sup> ბალასტი.

**შეფასების ინდიკატორი:** მოეწყო 2327 გრძ.მ ასფალტის საფარი წითელმთა-მაკვანეთის შემაერთებელ გზაზე. მოიხრემა და დაგრეიდერდა მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა გზები.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საწარმო შ.პ.ს., მუნიციპალური ტრანსპორტი** -ს ბიუჯეტი 2017 წელს დაგეგმილი იყო 76600 ლარით, რომელიც სრულად იქნა ათვისებული. მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკი შედგება 5 ერთეული მოძველებული „პაზიკის“-ს ტიპის ავტობუსისგან, რომლებიც სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტში შემავალი 4 დაბისა და 74 სოფლის მოსახლეობის სრულ მომსახურებას.

**მიღწეული შედეგი:** მუნიციპალიტეტში შემავალი 3 დაბისა და რამდენიმე სოფლის მოსახლეობის ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიისა და პედაგოგების მგზავრობის უფასოდ გადაყვანა.

**ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრის** ბიუჯეტი 2017 წელს დაგეგმილი იყო 70 500 ლარით, ფაქტიურად იქნა ათვისებული 67500 ლარი.

**მიღწეული შედეგი:** დაგეგმარების ცენტრის მიერ მოხდა მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში არსებული შედარებით მცირე ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება. 2017 წელს დაიწყო და დასრულდა დაგეგმარების ცენტრის ლიკვიდაციის პროცესი.

**თვითმმართველი თემი-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ.- მუნიციპალური მომსახურების ცენტრი** ბიუჯეტი 2017 წელს დაგეგმილი იყო 2013200 ლარით, ფაქტიურად იქნა ათვისებული 1568900 ლარი.

**მიღწეული შედეგი:** მომსახურების ცენტრის მიერ მოხდა მუნიციპალიტეტში არსებული გარე განათების ქსელის 4400 ერთეულის ექსპლუატაციის უზრუნველყოფა. ყოველდღიურად ხდებოდა 70-80 ტონამდე ნაგვის გატანა. ნაგვის მანქანები უზრუნველყოფდა 745 ნაგვის ურნის მომსახურებას. მომსახურების ცენტრის მიერ 2017 წელს მოხდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების მომსახურება. განხორციელდა პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი შეჩერდა სოფლი მეურნეობის სააგენტოს ინიციატივით, რამაც იმოქმედა საკასო შესრულებაზე.

**შეფასების ინდიკატორი:** გაუმჯობესებული სანიტარულ-ჰიგიენური გარემო მუნიციპალიტეტის სოფლებში.

**ინფრასტრუქტურის სამუშაოების განხორციელების მიზნით** საკუთარი ბიუჯეტით 2017 წელს დაგეგმილი იყო 3152200 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი იყო 3595400 ლარი.

**მიღწეული შედეგი:** საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 თებერვლის #480 განკარგულებით სულ გათვალისწინებული იყო 10 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. აქედან დასრულებულია 9 პროექტი, ხოლო არტემ ერქომანიშვილის სახლ-მუზეუმის მშენებლობა სოფ. მაკვანეთში მიმდინარეობს .

1. კურორტ გომისმთის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-250 კბ.მ მოცულობის წყლის რეზერვუარისა და 7305 გრძ.მ წყალმომარაგების მაგისტრალის მშენებლობა-415 736,10 ლარი (259 170,98 ლარი რგფ-დან, 156 565,12 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან)
2. სოფ. ნაგომარში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-2060 გრძ.მ ასფალტო ბეტონის გზის მოწყობა-452 104,34 ლარი (320 174,36 ლარი რგფ-დან, 131 929,98 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან)
3. სოფ. ოზურგეთი-სოფ. გურიანთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-1465 გრძ.მ ასფალტო ბეტონის გზის მოწყობა-587 583,04 ლარი (440 766,42 ლარი რგფ-დან, 146 816,62 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან)
4. სოფ. ვაკიჯვარი (ფამგალეთი)-სოფ. მთისპირის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-2200 გრძ.მ ასფალტო ბეტონის გზის მოწყობა -811 029,60 ლარი (605 352,49 ლარი რგფ-დან, 205 677,11 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან)

5. სოფ.ბოხვაური- სოფ.შემოქმედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-2587 გრძ.მ ასფალტო ბეტონის გზის მოწყობა-849 705,37 ლარი (614 535 ლარი რგფ-დან, 235 170,37 ლარი -ადგილობრივი ბიუჯეტიდან)
6. სოფ.გაღმა დვაბზუ-სოფ.ბახვის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-1200 გრძ.მ ასფალტობეტონის გზის მოწყობა-385 010,58 (291 842,20 ლარი რგფ-დან, 93 168,38 ლარი -ადგილობრივი ბიუჯეტიდან)
7. ლიხაურის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია-116 257,61 ლარი (86 773,90 ლარი რგფ-დან, 29 483,71 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან)
8. ძიმითის კულტურის სახლის რეაბილიტაცია-191 092,09 ლარი (142 630,51 ლარი რგფ-დან, 48 461,58 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან)
9. ვარლამ სიმონიშვილის სახლ-მუზეუმის მშენებლობა სოფ.შემოქმედში-173 680,03 ლარი (129 642,23 ლარი რგფ-დან, 44 047,80 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან)
10. არტემ ერქომაიშვილის სახლ-მუზეუმის მშენებლობა სოფ.მაკვანეთში-5 003,84 ლარი (3 734,87 ლარი რგფ-დან, 1 268,97 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან)
11. საზედამხედველო საქმიანობის მომსახურებისათვის-62 615,30 ლარი (819,85 ლარი რგფ-დან, 61 795,45 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან)

**შეფასების ინდიკატორი:** საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 თებერვლის #480 განკარგულებით გათვალისწინებული 10 ინფრასტრუქტურული პროექტიდან დასრულებულია 9 პროექტი, ერთი მიმდინარეობს. დასრულებულია 6715 გრძ.მ **ბეტონის გზის** დაგება შემდეგ სოფლებში:

1. დაბა ნარუჯაში-100 გრძ.მ
2. ასკანა-60 გრძ.მ
3. ბაილეთი-150 გრძ.მ
4. ბახვი-290 გრძ.მ
5. გურიანთა-700 გრძ.მ
6. ვაკიჯვარი-550 გრძ.მ
7. თხინვალი-260 გრძ.მ
8. კონჭკათი-780 გრძ.მ
9. ლიხაური-150 გრძ.მ
10. მაკვანეთი-305 გრძ.მ
11. მელექედური-30 გრძ.მ
12. მერია-760 გრძ.მ
13. მთისპირი-245 გრძ.მ
14. ნაგომარი-180 გრძ.მ
15. შემოქმედი-320 გრძ.მ
16. ცხემლისხიდი-100 გრძ.მ
17. ძიმითი-170 გრძ.მ
18. ჭანიეთი-160გრძ.მ
19. ჯუმათი-70 გრძ.მ
20. შრომა-1335გრძ.მ

**ელექტროენერჯის ხარჯი** გეგმა - 290,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 290,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100 %-ია.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- 4400 სანათი მოწყობილობის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობებში მოხმარებული ელ.ენერჯის ხარჯის გაწევა. კმაყოფილი მოსახლეობის რაოდენობა.

წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - შ.პ.ს.,სატისი” გეგმა - 343,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 343,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

**მიღწეული საბოლოო შედეგი:** მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება მთისპირი-ასკანის, ლაითურის, ნასაკირალისა, ლიხაურისა და ჯუმათის წყალმომარეგების სისტემები, რომელთა აღდგენა-რეაბილიტაცია და მოსახლეობისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შ.პ.ს.სატისი.

**შეფასების ინდიკატორი:** ლაბორატორიულად შემოწმებული და ხარისხიანი მიწოდებული სასმელი წყალი.

კეთილმოწყობის ღონისძიებები- გეგმა - 343,3 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 159,8 ათ. ლარი, რაც გეგმის 70%-ია;

**მიღწეული საბოლოო შედეგი:** მოხდა 4 ახალი ხიდის მშენებლობა და 4 ხიდის რეაბილიტაცია შემდეგ სოფლებში:

1. ლაითურში რკინის ხიდი-1
2. ლიხაური (ნიაბაური, ცენტრი)-2
3. შემოქმედში (გომი)-1 ახალი
4. ბახვი-ნაგომრის შემაერთებელ გზაზე-1 ახალი
5. დვაბზუ-1
6. მელექედური-1 ახალი
7. მაკვანეთი (შოტაულა)-1 ახალი

• აღდგა 7 მილხიდი შემდეგ სოფლებში:

1. ნატანები-5
2. მაკვანეთი-1
3. ნაგომარი-1

მოეწყო 35 მეტრი საყრდენი კედელი დაბა ნასაკირალში; მოეწყო 97 მეტრი გაბიონები სოფ.შემოქმედში, ლაითურში და ჭანიეთში-გახარჯულია 26 510,39 ლარი შესრულდა/დვაბზუში სტადიონის შემოღობვა დამიმდებარე სკვერის კეთილმოწყობა, ბოხვაურის სასაფლაოს ტერიტორიაზე ღობის მოწყობა ფუნდამენტით 50 მ-10 296,75 ლარი

**შეფასების ინდიკატორი:** კმაყოფილი ადგილობრივი მოსახლეობა.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება -2017 წლის გეგმა - 2650,7 ათ. ლარი, საკასო ხარჯი განისაზღვრა - 2519,6 ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 95,05 %-ია.

- მიღწეული საბოლოო შედეგი: სოფელ სილაურში (მეგორასუბანი) 140 მეტრი ბეტონის გზისმოწყობა (სტიქია)-18179.91 ლარი (2016 წლის ნაშთიდან)
- 23 აპრილის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე საქართველოს მთავრობის 26/04/2017 #824 განკარგულებით გამოყოფილია 1 520 000 ლარი.დაიხარჯა-1 499 584,59 ლარი.ამ თანხით გადაიხურა 116 სახურავი და სახურავის მასალების დაურიგდა 317 ოჯახს.
- 23 აგვისტოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე საქართველოს მთავრობის 30/08/2017 #1828 განკარგულებით გამოყოფილია-74 000 ლარი. სახურავის მასალების დაურიგდა 24 ოჯახს და დაბა ურეკში გადაიხურა 1კორპუსის სახურავი. გაიხარჯა 67 268 ლარი. აღდგენილია ხიდები სოფ.სილაურსა და სოფ.გურიანთაში.(2016 წლის ნაშთიდან)  
გარდა ამისა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე გაცა 355 348,98 ლარის სამშენებლო მასალა:
- 35 ოჯახზე გადასაცემად შეძენილია 188 172 ლარის სამშენებლო მასალა
- ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებულ 6 ოჯახს გადაეცა 27 348,98 ლარის სამშენებლო მასალა
- 67 ოჯახზე გადასაცემად შეძენილია 139 828 ლარის სამშენებლო მასალა

**შეფასების ინდიკატორი:** სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური მხარდაჭერა, კმაყოფილი მოსახლეობა.

ა(ა)ი.პ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი 2017 წლის გეგმა - 72,0 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 61,9 ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 85,97%-ია.

**მიღწეული საბოლოო შედეგი:** 2017 წელს დაიწყო ფერმერული მეურნეობის ცენტრის ლიკვიდაციის პროცესი. შენარჩუნებულია არსებული აქტივები.

**განათლება**  
(ორგანიზაციული კოდი - 04 00)

**04 01 - სკოლამდელი განათლების დაფინანსება**

**განმახორციელებელი:** ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი

**2017 წლის გეგმა -** 1980,0 ათ. ლარი, დაფინანსდა - 1980,0 ათ. ლარით, გეგმის 100%-ი.

**მიღწეული საბოლოო შედეგი:** დაფინანსებული იქნა 35 საბავშვო სააღმზრელო დაწესებულებების ხარჯები, რომელიც მოიცავს: 530 თანამშრომლის ხელფასს, 1600 ბავშვის კვებას, კომუნალურ გადასახადებს და სხვა ხარჯებს.

**შეფასების ინდიკატორი:** ბავშვთა კვების ორგანიზაციის საქმეში შესაბამისი მონიტორინგის ჩატარების შედეგების გაუმჯობესება წინა წლებთან შედარებით; 1600 ბავშვი იღებს უფასო მომსახურებას.

**04 02 - ზოგადი განათლების ხელშეწყობა**

**2017 წლის გეგმა -** 105,0 ათ. ლარი, დაფინანსდა - 104,2 ათ. ლარით, გეგმის 99,23%-ი.

**მიღწეული საბოლოო შედეგი:**

საანგარიშო პერიოდში ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო სკოლებს ( გაეწიათ ფინანსური დახმარება კაპიტალური ხარჯების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური დახმარება გაეწია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლების 2 მოსწავლეს (თითოეულს 3000 ლარის ოდენობით), რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა (100%). აგრეთვე იმ სკოლებს, სადაც სწავლობდნენ აღნიშნული მოსწავლეები გადაეცათ 1000 ლარი .

დაფინანსდა გურიის ოლიმპიური კომიტეტი 30000 ლარით, რომელიც ახორციელებს შშმ პირების ადაპტირების პროგრამას ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაციის განხრით.

**შეფასების ინდიკატორები:**

4 საჯარო სკოლაში განხორციელებული კაპიტალური პროექტი.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**  
(ორგანიზაციული კოდი - 05 00)

**05 01 01 - სპორტული ღონისძიებების დაფინანსება**

**2017 წლის გეგმა -** 10,4 ლარი, დაფინანსდა - 10,4 ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

**მიღწეული საბოლოო შედეგი:** შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი ადგილობრივი საბავშვო წრეებისთვის. მოეწყო რამდენიმე ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გამარჯვებულებს გადაეცათ თასები და სამახსოვრო საჩუქრები.

**შეფასების ინდიკატორები:** სპორტულ წრეებში ჩართული მოსწავლეების გაზრდილი რაოდენობა.

**05 02 01 - კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა**

**2017 წლის გეგმა -** 175,0 ათ. ლარი, დაფინანსდა - 171,1 ათ. ლარით, რაც გეგმის 97,77%-ია.

**მიღწეული საბოლოო შედეგი:**

ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- „კალანდობა გურიაში“;
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა;
- „გომისმთობა“;
- პროექტი „ჩვენ, მზე და ლურჯი ზღვა“;
- „ასკანლობა“ სახალხო დღესასწაული;
- „შემოქმედობა“ სახალხო დღესასწაული;
- „ექვთიმეობა“ წმინდა ექვთიმე ღვთისკაცისადმი (თაყაიშვილი) მიძღვნილი ღონისძიება;

**05 02 02 - ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი** (გეგმა - 338.9 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 337.1 ათ. ლარი, რაც გეგმის 99.46%-ია);

**05 02 03 - ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურევის კულტურის სახლი** (გეგმა - 125.5 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 125.5 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);

**05 02 04 - ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანება** (გეგმა - 124.4 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 121.3 ათ. ლარი, რაც გეგმის 97.5%-ია);

